შვედური ორგანიზაციის RFSL-ის სასტიპენდიო ფონდი ლგბტქი+ აქტივისტებსთვის იწყებს აპლიკაციების მიღებას **ინგლისური ენის** ინდივიდუალურ და ჯგუფურ კურსებზე 2023 სასწავლო წლისთვის.

რა არის ენის კურსების ფონდი?

ინიციატივა შექმნილია შვედეთის ფედერაცია ლგბტქი+ უფლებებისთვის, RFSL-ის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში ქვიარ აქტივისტების გაძლიერების მიზნით. პროგრამის მიზანია აქტივისტებისთვის გაზარდოს განათლებაზე ხელმისაწვდომობა, რომელიც მათთვის ახალ სამუშაო გამოცდილებას, საკომუნიკაციო ქსელების ჩამოყალიბებასა თუ უცხოეთში სწავლის შესაძლებლობას გაზრდის.

2023 სასწავლო წელს ფონდი დააფინანსებს 60-მდე აქტივისტს რეგიონის ფარგლებში, მათ შორის საქართველოდან 20-მდე აპლიკანტს.

ინგლისური ენის კურსი გრძელდება მინიმუმ 3, მაქსიმუმ 6 თვე სტიპენდიანტისთვის სრულად მორგებული რეჟიმით. განაცხადის სრულყოფილად შევსების მიზნით გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ აღნიშნულ მოთხოვნებს.

რა შედის კურსში?

- სწავლის სრული დაფინანსება. თანხას **RFSL** ფარავს სასწავლო კურსის დაწყებამდე პირდაპირ საგანმანათლებლო ცენტრათან. კურსი მორგებულია ინდივიდუალურ საჭიროებებზე და გათვლილია მოსმენის, წერის და სასაუბრო ინგლისური ენის უნარების გაუმჯობესებისთვის.
- სწავლის დასრულების შემდგომ ენის სერთიფიკატი.
- დამატებითი ინდივიდუალური საჭიროებებზე მორგებული ფინანსური მხარდაჭერა ინტერნეტ ხარჯის დასაფარად, ბავშვის დატოვების/მოვლის ან ტრანსპორტირების ხარჯებს საგანმანათლებლო სივრცემდე და უკან.
- კურსდამთავრებულთა ქსელში გაწევრიანება, სადაც როგორც წევრი მიიღებთ უნიკალურ შესაძლებლობას გააგრძელოთ თვითგანვითარება და პროფესიული ზრდა.

კრიტერიუმები:

2023 სასწავლო წლისთვის RFSL-ის ენის კურსების ფონდი პრიორიტეტს მიანიჭებს ტრანს, არაბინარულ, გენდერულად მრავალფეროვან და ბისექსუალ+ აქტივისტებს სომხეთიდან, საქართველოდან, მოლდოვიდან და უკრაინიდან. მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირებს კონფლიქტების/ომების ან/და უსაფრთხოების მიზნების გამო, რომლებიც აღნიშნულ სხვა ყველა კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ.

პრიორიტეტი მიენიჭება RFSL-ის ფინანსური პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებს, ასევე განიხილება დამოუკიდებელი აქტივისტების აპლიკაციებიც.

კრიტერიუმად არ ჩაითველბა უცხო ენის ცოდნა. ამავე ფონდის მხარდაჭერით კურსდამთავრებულებს წელსაც შეუძლიათ აპლიკაციის შემოტანა სწავლის გასაგრძელებლად.

ქვეყნები და მოქალაქეობა

აპლიკანტი უნდა იყოს საქართველოს, უკრაინის, სომხეთის ან მოლდოვის მოქალაქე. იმ შემთხვევაში თუ გაქვთ ორმაგი მოქალაქეობა და აქედან ერთ-ერთი ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე ქვეყნისაა, განაცხადი კვლავ ვალიდურია. გაითვალისწინეთ, რომ აპლიკაციის შევსების დროს არ არის საჭირო იმყოფებოდეთ რომელიმე ზემოთაღნიშნულ ქვეყანაში.

LGBTQI+ აქტივიზმის გამოცდილება

ენის კურსების სტიპენდიის მოსაპოველბად საჭიროა სამოტივაციო წერილში აღწეროთ თქვენი გამოცდილება და ჩართულობა ქვიარ აქტივიზმში. არასამთავრობო ორგანიზაციებში დასაქმებულს, სტაჟიორს, მოხალისეს ან/და ყოფილ თანამშრომელს მოეთხოვება ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაციის მითითება სააპლიკაციო ფორმაში, ვინც დაადასტურებს თქვენს ჩართულობას საქმიანობაში.

პრიორიტეტი მიენიჭება აპლიკანტებს, ვისაც ამ სფეროში ლიდერობის გამიცდილება აქვს, თუმცა აპლიკაციის შემოტანისას აუცილებელი არ არის იყოთ დასაქმებული.

მოთხოვნები სტიპენდიის მოპოვების შემდგომ

ყველა განმცხადებელმა:

- ენის ცოდნის დრონის დასადგენად უნდა დაუკავშირდეს და გაიაროს ტესტირება არჩეულ საგანმანათლებლო ცენტრთან.
- დაგეგმოს თავისთვის მორგებული სასწავლო კურსის გრაფიკი.
- ჰქონდეს მყარი კომუნიკაცია ქვეყნის კონსულტანტთან ნებისმიერი სირთული, გაუთვალისწინებელი ან საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში (მაგ. კურსის შეწყვეტის, მასწავლებლის შეცვლის მოთხოვნის ან საფრთხის განცდის შემთვევაში)
- მოკლე აღწერის გაკეთება კურსის დაწყებამდე და კურსის შემდგომ ცოდნასთან მიმართებაში.
- დაცვას კურსის თანამიმდევრობა და ვადები შესაძლებლობების ფარგლებში.

სამოტივაციო წერილში შეგიძლიათ ახსნათ სამომავლო გეგმები, რომელიც ამ კურსის შედეგებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს, თუმცა არაა სავალდებულო.

შეფასება და უკუკავშირი

სტიპენდიანტმა უნდა წარადგინოს წინსვლისა და კურსებიდან მიღებული ცოდნის გამოყენების შესახებ მოკლე უკუკავშირი (მაქ. 200-250 სიტყვა) კურსის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.

RFSL-ი დაუკავშირდება ყველა სტიპენდიანტს კურსის კმაყოფილების შეფასების მიზნით და მიაწვდის შეფასების ფორმას კურსდამთავრებულებს.

ვადები და ლოჯისტიკური ნაწილი

- აპლიკაციის შევსების ბოლო ვადა არის 15 მაისი;
- აპლიკაციების განხილვა და შერჩევა;
- შეტყობინება შერჩეულ აპლიკანტებთან - 18 მაისი;
- კურსების დაწყება - ივნისი.

RFSL-ი უზრუნველყოფს ენის სკოლებთან ან ინდივიდუალურ რეპეტირორებთან კომუნიკაციას კურსის სრულყოფილად შედგენის და ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგების მიზნით.

განაცხადის ფორმა ხელმისაწვდომია ონლაინ

სტიპენდიანტების არჩევისთვის გადამწყვეტი ფატორი დამოკიდებულია სამოტივაციო წერილზე. განმცხადებელს უფლება აქვს შემოიტანოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

არასრულყოფილად შევსებული განაცხადები არ განიხილება, შესაბამისად გთხოვთ, ყურადრება მიაქციოთ მოთხოვნილ კრიტერიუმებს.

RFSL იტოვებს უფლებას შეგატყობინოთ განაცხადის სტატუსი ვადის გასვლიდან არაუგვიანეს ერთ თვეში.

უსაფრთხოება

თქვენს მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემები გამოყენებულია მხოლოდ განცხადების დასამუშავებლად და სტიპენდიანტების კურსის სამართავად. RFSL-ი ხელმძღვანელობს *შვედური საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის პრინციპებისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად პრინციპების* (GDPR) მიხედვით. თქვენი პირადი მონაცემებზე წვდომა აქვს RFSL-ს და გარე ექპერტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კონტრაქტში განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში.

კითხვები

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით RFSL-ის წარმომადგენელს, კონსულტანტს ელექტრონულ მისამართზე: projectrfsl6@gmail.com

იმ შემთხვევაში თუ გირჩევნიათ სხვა საკომუნიკაციო არხი, გთხოვთ შეგვატყობინეთ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე.

ხშირად დასმული კითხვები

1. როგორ შემოვიტანო განაცხადი სტიპენდიის მოპოვების მიზნით

   უნდა მიმართოთ განაცხადის ბმულს.

2. პრობლემა მაქვს აპლიკაციის შევსებაში, რა შეიძლება გავაკეთო?

თუ გაქვს გარკვეული პრობლემა დაგვიკავშირდით მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე და ვეცდებით თქვენს მაქსიმალურ მხარდაჭერას ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში.

3. შეიძლება თუ არა აპლიკაციის შემოტანა დედლაინის გადაცილების შემთხვევაში?

განცხადების ბოლო ვადის გადაცილების შემთხვევაში არ განიხილება აპლიკაცია. თუ თვლით რომ აკმაყოფილებთ კრიტერიუმებს და გსურთ 2024 წლის სარეზერვო სიაში მოხვედრა გთხოვთ შეგვატყობინოთ.
გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სარეზერვო სიაში მოხვედრის შემთხვევაში, RFSL თქვენს პირად მონაცემებს შეინხავს მომავლი 2024 წლის სააპლიკაციო განაცხადის გამოცხადებამდე. RFSL-ი ხელმძღვანელობს შვედური საზოგადოებრივი ხელმისაწვდომობის პრინციპებისა და ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ზოგად პრინციპების (GDPR) მიხედვით. თქვენი პირადი მონაცემებზე წვდომა აქვს RFSL-ს და გარე ექპერტებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ კონტრაქტში განსაზღვრულ უფლებამოსილების ფარგლებში.

4. რა არის განაცხადის შემოტანის ვადები?

27 აპრილიდან 2023 წლის 15 მაისმდე.

5. როგორ გამოვგზავნო ჩემი განაცხადი?

განაცხადის შემოტანა შეგიძლიათ ჩვენს მიერ შედგენილი Google form-ით, რომელიც თანდართული ბმულით არის მოცემული აპლიკაციაში. თუმცა, ასევე განვიხილავთ აპლიკანტის სურვილისამებრ გამოგზავნილ აპლიკაციას ელექტრონულ მისამართის საშუალებით. აღნიშნულ შემთხვევაში, გთხოვთ ჩამოტვირთოთ განაცხადის ფორმა აქ და გამოგვიგზავნოთ ელ. მისამართზე თქვენი აპლიკაცია. ყურადღება მიაქციეთ აპლიკაციის მოთხოვნებსა და ინსტრუქციას აპლიკაციის გამოგზავნამდე.

6. რა ენაზე შემიძლია განაცხადის შემოტანა?

განაცხადის შემოტანა შეგიძლიათ მშობლიურ ან ინგლისურ ენაზე.

სტიპენდიის პერიოდი

1. შესაძლებელია თუ არა სასწავლო სტიპენდიის ვადის ცვლილებები ან აკადემიური შვებულების აღება?

გადავადება ან სასწავლო შვებულების აღება შესაძლებელია გამონაკლის და არაპროგნოზირებად შემთხვევებში. ენის კურსის ფონის მეშვეობით თქვენ გაქვთ უფლება გამოყოთ 3-დან 6 თვემდე სასწავლო პერიოდი, კურსის არაუგვიანეს 2023 წლის ნოემბრამდე დასრულების შემთხვევაში. აღნიშნული გარემოებები უნდა იყოს ცნობილი როგორც საგანამანათლებლო დაწესებულებისთვის, ასევე ქვეყნის კონსულტანტისთვის (projectrfsl6@gmail.com)

აპლიკაციის საფასური

1. როგორ უნდა გადავიხადო სააპლიკაციო საფასური?

ენის კურსების ფონდში აპლიკაციის შემოტანა უფასოა.

საჭირო დოკუმენტაცია

1. რა საბუთების წარდგენა დამჭირდება?

ენის კურსების ფონდში მონაწილეობის მისაღებად უნდა გაეცნოთ აპლიკაციის ინსტრუქციას და სააპლიკაციო ფორმას.

2. არის თუ არა ჩემი საქმიანობა ლიდერობის გამოცდილება?

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლია კომენტარების წინასწარ გაკეთება ცალკეულ აპლიკაციებთან მიმართებაში, რადგან ეს შექმნის არასამართლიან გარემოს სხვა აპლიკანტებთან. გთხოვთ მიუთითოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი გამოცდილებები. აპლიკანტების განაცხადში დაუდასტურებელი შემთხვევებს შერჩევის კომიტეტი არ განიხილავს.

3. ინგლისური ენის დონის ცოდნის რა მოთხოვნები გაქვთ?

ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნები არ გვაქვს. ენის წინასწარ ცოდნა საჭიროებას არ წარმოადგენს.

4. შემიძლია თუ არა ჩემი აპლიკაციის წარდგენა სხვა ფორმატში?

დოკუმენტების განსხვავებულ ფორმატში მიწოდება შესაძლებელია გამონაკლის ვითარებაში. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ წინასწარ და ვეცდებით დაგეხმაროთ გამოსავლის პოვნაში.

5. მჭირდება თუ არა სარეკომენდაციო წერილი?

საროკემენდაციო წრილის წარდგენა არ არის საჭირო.

6. მჭირდება თუ არა გამოვგზავნო ჩემი CV?

CV გამოგზავნა არ არის საჭირო.

7. მჭირდება თუ არა ინგლისური ენის დამადასტურებელი დოკუმენტი?

ინგლისური ენის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა არ არის საჭირო.

8. მაქვს ლიდერობის გამოცილება ერთზე მეტი ადგილიდან, რომელი უნდა ავღნიშნო განაცხადში?

სააპლიკაციო ფორმაში უნდა მიუთითოთ ორი რეკომენდატორის საკონტაქტო ინფორმაცია, აქედან ერთ-ერთი უნდა იყოს უშუალოდ სამუშაო გამოცდილებასთან კვეთაში დასაქმებულის, სტაჟიორის ან/და მოხალისეობის შემთვევაში. სასურველია მეორე რეკომენდატორი იყოს პასუხისმგებელი თქვენს ჩართულობაზე სამოქალაქო საზოგადოებრივ საქმინობაში.

ვის შეუძლია განაცხადის შემოტანა

1. როგორ გავიგო ვაკმაყოფილებ თუ არა სტიპენდიის კვალიფიკაციას?

ენის კურსების ფონდის სტიპენდიის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეთ აპლიკაციიაში აღნიშნულ კრიტერიუმებს.

2. ამჟამად ვცხოვრობ ჩამოთვლილი ქვეყნების გარეთ, შემიძლია აპლიკაციის შემოტანა?

თქვენ უნდა იყოთ საქართველოს, უკრაინის, სომხეთის ან მოლდოვის მოქალაქე ან იძულებით გადაადგილებული პირი კონფლიქტების/ომების ან/და უსაფრთხოების მიზნების გამო, რომლებიც აღნიშნულ სხვა ყველა კრიტერიუმებს აკმაყოფილებს.

3. მაქვს ორმაგი მოქალაქეობა, რომელი უნდა გამოვიყენო აპლიკაციის შევსების დროს?

აპლიკაციის შევსების დროს გთხოვთ გამოიყენოთ ჩამოთვლილი უფლებამოსული ქვეყნების მოქალაქეობა - საქართველოს, სომხეთის, უკრაინის ან მოლდოვის.

4. გაიცემა თუ არა სტიპენდია საუნივერსიტეტო კურსებზე?

არა, RFSL-ი არ გასცემს სტიპენდიას საუნივერსიტეტო კურსებზე.

5. გაქვთ თუ არა სტიპენდია გაცვლითი სწავლის, სასწავლო ვიზიტების ან საუნივერსიტეტო პროგრამებისთვის?

არა, ამჟამად არ არსებობს სტიპენდია გაცვლითი სწავლის, სასწავლო ვიზიტების ან საუნივერსიტეტო პროგრამებისთვის.

6. შემიძლია თუ არა განაცხადის შემოტანა თუ სხვა ენის სწავლა მსურს?

ფონდის ინტერვენცია მიმართულია ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესებისკენ, თუმცა თუ თქვენი მოთხოვნა რელევანტურია თქვენს საქმიანობაში გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ და ვეცდებით ალტერნატივის შემოთავაზებას.